




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 18

2019 წლის 6 აგვისტო

ხაშური



„ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის №49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის №49 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 05/08/2014; 010250050.35.143.016278) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების პირველი მუხლის დ) პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) წაღვლის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლების: წაღვლი, კლდისწყარო, ქვემო ბროლოსანი, ზემო ბროლოსანი, ჩორჩანა, წელვერი, ტიტვინისწყარო, ყობის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ საზღვრებში“;

ბ) დადგენილების პირველი მუხლის ვ) პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ხალების ადმინისტრაციული ერთეული - სოფლების: დიდი ხალები, პატარა ხალები, ღართა, სარტყელა, ღვრიაწყალი, ალექსანდრესწყაროს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ საზღვრებში“;

გ) დადგენილების პირველი მუხლის ზ) პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეული - სოფლების: ქვიშხეთი, ტაშისკარი, მონასტერი, ბელლეთი, ბულბულისციხე, სათივე, სარმანიშვილისკარი, ტეზერი, ყიფიანთუბანი, სავანისუბანი, რუსაანთუბანის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ საზღვრებში“;

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მიხეილ ჯანაშვილი

